გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ "აისში" განხორციელებული ვიზიტის შესახებ

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები**<br>**თავმჯდომარე: მადონა გოგობერიშვილი** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.<br>**წევრები:**<br>**ნანა შარაბიძე** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.<br>**თამარ ახალაძე** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი. |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ხელმოწ. წელი)

*დანართი №2*

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: 227770800

სახე

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ პროფესიული კოლეჯი
- ■ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა განაცხადი (N734143, 2018 წლის 15 ივნისი), ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე: „მეთევზეობა" მეოთხე საფეხური, „ქვის სამუშაოების წარმოება" მესამე საფეხური, „იატაკის და ფილის სამუშაოები" მესამე საფეხური, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე" მესამე საფეხური.
აღნიშნული პროგრამების დამატებისთვის დაწესებულების მზაობის, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N633 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
**მადონა გოგობერიშვილი** - ჯგუფის თავმჯდომარე; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.
**ნანა შარაბიძე** - ჯგუფის წევრი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.
**თამარ ახალაძე** - ჯგუფის წევრი; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თითოეულ წევრს დროულად მიეწოდა დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი მასალების სრული პაკეტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა დღის წესრიგი (დანართი 1), რომელიც შეთანხმებულ იქნა ცენტრთან და დადგენილ ვადაში წინასწარ მიეწოდა დაწესებულებას.
ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 1 – 2 აგვისტოს კაჭრეთში, საზოგადოებრივ კოლეჯ „აისში" და სხვა მუნიციპალიტეტების ბაზებზე, კონკრეტულად, შემოწმდა პროგრამების განხორციელების ადგილები: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. შრომაში – 2 პროგრამისთვის: „იატაკისა და ფილის სამუშაოები" და „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე", დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ სამრეკლოში – პროგრამა "ქვის სამუშაოების შესრულება" და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ალვანში - „მეთევზეობა".
2018 წლის 1 აგვისტოს, ვიზიტის პირველ დღეს, შედგა გაცნობითი შეხვედრა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" ხელმძღვანელობასთან და შეთანხმდა ვიზიტის ტექნიკურად განხორციელების საკითხები.
გამომდინარე ვიზიტის გეოგრაფიული სირთულიდან, კერძოდ, იქიდან, რომ კოლეჯის მიერ დასამატებელი პროგრამების A, B და C სივრცეები განლაგებულია სამ სხვადასხვა ლოკაციაზე და ასევე პრაქტიკის ობიექტებიც მდებარეობს პროგრამებისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს მიმდებარედ, შევიდა გარკვეული ცვლილებები წინასწარ დაგეგმილ დღის წესრიგში. პირველ დღეს განხორციელდა სამივე ლოკაციაზე სასწავლო სივრცეების/ადაპტირებული გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის გადამოწმება; ბიბლიოთეკების, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების რეალური მდგომარეობის ვიზუალური შემოწმება, ასევე შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალთან, გადამოწმდა აღნიშნული პროგრამების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტები, ასევე დუალური მიდგომით განსახორციელებელი მეთევზეობის პროგრამის პრაქტიკული შედეგების განხორციელების ობიექტები, და შედგა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან.

მეორე დღეს, 2 აგვისტოს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია, წარმოდგენილი პრაქტიკის მემორანდუმები/ხელშეკრულებები, ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები და ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვის დოკუმენტაცია, შედგა შეხვედრები და გასაუბრება ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გააკეთეს ჩატარებული სამუშაოს ანალიზი და დაიწყეს მუშაობა დასკვნის პროექტზე; შეათანხმეს ძირითადი საკითხები, რომელიც აისახა დასკვნის პროექტში. ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" ადმინისტრაციასთან, სადაც გამოიკვეთა 2 დღის მუშაობის შედეგები.
ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი დაასრულა 2018 წლის 2 აგვისტოს.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები | | მუხლი 6 | ■ | ☐ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი | მუხლი 6 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | | | |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ; | მუხლი 6 / პუნქტი ბ) | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, | მუხლი 6 / პუნქტი გ) | ■ | □ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ■ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ■ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| 2. | პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი | მუხლი 7 | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | | | |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში; | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | ☐ |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.); ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ■ | |
| 3. | პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი | მუხლი 8 | ■ | |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ■ | |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ■ | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პირი; | | | |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცდილებაში შეიძლება განვიხილოთ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის მუდმივი სწრაფვა სიახლეებისკენ. მაგალითად: კოლეჯი დუალური მიდგომით უკვე ახორციელებს 3 მოდულურ პროგრამას: მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა (მესაქონლეობა) და მეხილეობა (კურკოვანი კულტურები), რომლებსაც წარმატებით ახორციელებს პარტნიორ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით და, ამჯერად, კვლავ იმატებს კიდევ ერთ პროგრამას დუალური მიდგომით..

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისში" ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. საგანმანათლებლო პროგრამაში „თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" გაპარულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობა. კერძოდ, პროგრამის მე-4 პუნქტში „სწავლის შედეგები თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისათვის", ჩამონათვალში, სადაც აღწერილია კურსდამთავრებულის შესაძლებლობები, კონცენტრაციიდან „კედლის დაფარვის სამუშაოები" გადმოტანილია ფრაზა - „ინტერიერში გააკრას შპალერი", რადგან კონცენტრაცია „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" არ ითვალისწინებს შპალერის გაკვრის სწავლებას, ეს ფრაზა სრულიად ზედმეტია. სასურველია გაითვალისწინოს დაწესებულებამ და შეიტანოს ცვლილება აღნიშნულ ჩანაწერში;
2. პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებები არის უფრო ზოგადი ხასიათის და არ იძლევა საკმარის ინფორმაციას, პროგრამის, მით უფრო დუალური პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(სახელი, გვარი)

განხორციელებასთან დაკავშირებით. თუმცა კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისა და მათ მიერ ადგილზე დამატებით წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ კოლეჯის წარმომადგენლებს აქვთ სწორი ხედვა სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით. მათ წარმოადგინეს სრული პაკეტი - მონაცემები პარტნიორ ორგანიზაციაზე, კერძოდ, ხელშეკრულება, სადაც კონკრეტულად არის გაწერილი საწარმოს ვალდებულება, საწარმოში განსახორციელებელი მოდულის და/ან შედეგების ჩამონათვალი, აღჭურვილობის ნუსხა და საწარმოს მხრიდან პასუხისმგებელი პირის მონაცემები, თუმცა კარგი იქნებოდა დუალური პროგრამების შემთხვევაში, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი არ შემოიფარგლებოდეს სტანდარტული ჩანაწერებით და წარმოდგენილი იყოს პარტნიორ კომპანიაში არსებული აღჭურვილობა. ასევე სასურველია, სხვა პროგრამებთან მიმართებაშიც კონკრეტულად იყოს გაწერილი საწარმოსთან თანამშრომლობის პირობები;

3. მოდულურ პროგრამაზე „მეთევზეობა" კოლეჯს აქვს მემორანდუმი შპს „მბმ"-თან, რომელიც ფოთში მდებარეობს. შედეგის დასადასტურებლად სტუდენტებს მოუწევთ შორ მანძილზე წასვლა. კოლეჯის ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს საჭიროების შემთხვევაში თავად უზრუნველყოს შორ მანძილებზე სტუდენტების ტრანსპორტირების საკითხი, თუმცა კარგი იქნება სამართლებრივ ფორმატში გაწეროს მსგავსი საკითხები, კერძოდ, შეიმუშავოს რაიმე სახის რეგულაცია და/ან საწარმოსთან ან პროფესიულ სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებაში შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია;
4. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" ფილიალებში გასაუმჯობესებელია ბიბლიოთეკით სარგებლობის საკითხი. არსებობს ბიბლიოთეკისათვის განკუთვნილი სამკითხველო დარბაზები, წიგნების შესანახი კარადები, კომპიუტერი, თუმცა მხოლოდ პროგრამებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები ინახება ადგილზე. ცენტრალური ბიბლიოთეკა თავისი სრული აღჭურვით წარმოდგენილია კაჭრეთში. ზოგადად სხვა მუნიციპალიტეტებში არსებულ ბაზებზე დაწესებულებას არ ჰყავს ბიბლიოთეკარები და მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ასრულებენ პირები ბიბლიოთეკარის მოვალეობას. კარგი იქნებოდა თუ კოლეჯი დაარეგულირებდა ამ საკითხებს შიდა რეგულაციებით.

VII. დაწესებულების მისია

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" მისიაა:

თეორიული და პრაქტიკული სასწავლო საქმიანობის განხორციელებით მიზანდასახული, კონკურენტუნარიანი და მაღალი ზნეობის პროფესიონალების მომზადება.

ხედვა: გავხდეთ ლიდერი სასწავლებელი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც უახლესი სტანდარტებით ხელს შეუწყობს ქვეყანაში უკეთესი ხვალინდელი დღის შექმნას.

კოლეჯის ღირებულებები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ;
- გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა;
- დემოკრატიულობა;
- ტრადიციებზე დაფუძნებული ინოვაციები;
- მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური მასწავლებლების მიერ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების წარმართვა;
- სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოების არჩევითობა;
- პროფესიული განათლების უწყვეტობის პრინციპის განხორციელება.

დაწესებულების მიზანია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მოსამზადებელი პროფესიების შერჩევა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელება, მოკლევადიანი პროფესიული განათლების პროგრამებით წარმოებაში დასაქმებულ პირთა მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, თანამშრომლობა სხვა პროფესიულ კოლეჯებთან და დაწესებულებებთან. კოლეჯის ამოცანაა დაამკვიდროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, შექმნას უსაფრთხო გარემო, შესძინოს სტუდენტებს საჭირო ცოდნა და უნარები, მუდმივად იზრუნოს პედაგოგების ხარისხობრივ ზრდაზე, იყოს კონკურენტუნარიანი.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016
წლის 23 სექტემბრის N26 გადაწყვეტილებით სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს „აისი“
(საიდენტიფიკაციო კოდი 227770800) 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიულ საგანმანათლებლო
დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული
რაოდენობა განესაზღვრა 1300 სტუდენტით, ხოლო ამჟამად საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 1144 (გად. N 07. 06.03.2018).
დაწესებულებას სურვილი აქვს, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „აისში“ მოიპოვოს შემდეგი
პროგრამების განხორციელების უფლება: „მეთევზეობა“, „ქვის სამუშაოების წარმოება“, „თაბაშირ-
მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, “იატაკის და ფილის სამუშაოები“. აღნიშნული პროგრამები
შემდგომში განხორციელდება რეგიონის სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოდ: ლაგოდეხის
მუნიციპალიტეტში სოფ. შრომა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფ. სამრეკლო და
ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფ. ქვემო ალვანი.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული 4
საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთა განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს.
პროგრამები დამტკიცებულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის“ დირექტორის 2018 წლის 12
ივნისის №02-01-170 ბრძანებით.
ამ ეტაპზე კოლეჯში დაგეგმილია სამშენებლო მიმართულების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე
შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო სამი პროგრამის დამატება, რომლებსაც სასწავლებელი
განახორციელებს ორ სხვადასხვა ლოკაციაზე: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფ. შრომაში
განხორციელდება „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ და „იატაკის და ფილის
სამუშაოები“, ხოლო დედოფლის წყაროს მუნიცეპალიტეტში სოფ. სამრეკლოში - „ქვის სამუშაოების
წარმოება“. წარმოდგენილი პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის -
დირექტორის ბრძანებით (ბრძანება№02-01-170, 12.06.2018წ.) და ადაპტირებულია რეკომენდაციების
სრული დაცვით. მათში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა,
სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია
მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ შექმნილია
ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტის („მშენებლობის წარმოება“) საფუძველზე. მისი მოცულობა
კრედიტებში 59 კრედიტი. პროგრამა მოიცავს: ზოგად მოდულებს 16 კრედიტის მოცულობით,
საერთო პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს 8 კრედიტის მოცულობით, არჩევით
მიმართულება/კონცენტრაციას - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის სპეციალიზაციის
მოდულებს 35 კრედიტის მოცულობით. შესაბამისად კედლის დაფარვის სამუშაოების მესამე
საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა
სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 59 კრედიტი.
<u>მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ადაპტირებულია, მასში გაპარულია ტექნიკური
ხასიათის უზუსტობა. კერძოდ, პროგრამის მე-4 პუნქტში „სწავლის შედეგები თაბაშირ-მუყაოს</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსტრუქციების მონტაჟისათვის", ჩამონათვალში, სადაც აღწერილია კურსდამთავრებულის შესაძლებლობები, კონცენტრაციიდან „კედლის დაფარვის სამუშაოები" გადმოტანილია ფრაზა - „ინტერიერში გააკრას შპალერი". რადგან კონცენტრაცია „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" არ ითვალისწინებს შპალერის გაკვრის სწავლებას, ეს ფრაზა სრულიად ზედმეტია, თუმცა იგი არ ცვლის პროგრამის მიზნებს და ხანგრძლივობას და მხოლოდ ტექნიკურ უზუსტობად შეიძლება ჩაითვალოს.

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები" ასევე შექმნილია ოპტიმიზირებული ჩარჩო დოკუმენტის („მშენებლობის წარმოება") საფუძველზე და მოიცავს 6 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამურად 16 კრედიტის ოდენობით, 4 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით და 8 „იატაკისა და ფილის სამუშაოების" კონცენტრაციის მოდულს ჯამური 53 კრედიტის ოდენობით, შესაბამისად, იატაკისა და ფილის სამუშაოებში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს **77** კრედიტი.

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა „სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა" კონცენტრაციით: ქვის სამუშაოების წარმოება, მოიცავს 6 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით, 4 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით და 6 ქვის სამუშაოების წარმოების სპეციალიზაციის მოდულს ჯამური 35 კრედიტის ოდენობით. სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **59** კრედიტი.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით.

პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, პროგრამის მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია, პროგრამებს თან ერთვის მოდულები, სასწავლო გეგმა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია, ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან, დასაბუთება პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობისა და სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების სასწავლო გეგმებში დაცულია პროგრამის სტრუქტურა და გაწერილია თანმიმდევრულად მოდულები წინაპირობების გათვალისწინებით და ასევე დაცულია სტუდენტის კვირეული დატვირთვის ზედა ზღვარი (40 სთ).

განსხვავებული მიდგომით არის შედგენილი საგანმანათლებლო პროგრამა „მეთევზეობა (ფერმერობა მეთევზეობაში)", რადგან დაწესებულება გეგმავს ამ პროგრამის დუალური სწავლების მეთოდით განხორციელებას, რაც უპირობოდ ნიშნავს იმას, რომ სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ამ შემთხვევაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა არა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხოლოდ ადაპტირებული მოდულები, არამედ განსხვავებული მიდგომებით შედგენილი სასწავლო გეგმაც, სადაც ნათლად არის გაწერილი სტუდენტის მოძრაობა კოლეჯსა და პრაქტიკის ობიექტზე. მოცემულია ინფორმაცია თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტების ხვედრითი წილების შესახებ, გამოკვეთილია ცალკეული მოდულები/შედეგები, რომელიც მხოლოდ პრაქტიკის ობიექტზე უნდა გაიაროს/დაადასტუროს სტუდენტმა.

„მეთევზეობის (ფერმერობა მეთევზეობაში)" პროგრამა აერთიანებს მეოთხე საფეხურის ერთ პროფესიულ კვალიფიკაციას, კონცენტრაციით - „ფერმერობა მეთევზეობაში", რომელიც მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 ჯამური კრედიტის რაოდენობით, 13 პროფესიულ მოდულს - 55 ჯამური კრედიტის ოდენობით და კონცენტრაციის „ფერმერობა მეთევზეობაში" 5 სავალდებულო პროფესიულ მოდულს - 30 ჯამური კრედიტის ოდენობით. მე-4 საფეხურის კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 100 კრედიტი.

აღნიშნული პროგრამის სასწავლო გეგმით გაწერილი პრაქტიკული კომპონენტის ათვისების მიზნით, კოლეჯმა წარმოგვიდგინა გაფორმებული ხელშეკრულებები შპს „ტოზი"-სა ( ს/კ [redacted] თელავის რაიონი, სოფ. კონდოლი) და შპს „ქარავან"-თან ( ს/კ [redacted] ახმეტის რაიონი, სოფ. ქვემო ალვანი), რომლებსაც აქვთ სატბორე მეურნეობები, სადაც ხდება სხვადასხვა სახეობის თევზის მოშენება და გამოზრდა.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე კომპანიას განვითარებული აქვს თევზის წარმოების სრული ციკლი - თევზის ქვირითის მიღებიდან ნედლი თევზის რეალიზაციამდე. შესაბამისად, აღნიშნულ სატბორე მეურნეობებში სტუდენტს ექნება შესაძლებლობა, სრულად ჩაერთოს სატბორე მეურნეობების მუშაობაში პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით.
რაც შეეხება სტდენტთა რაოდენობას, ორივე მეურნეობას აქვს შესაძლებლობა, თითოეული მიღების ფარგლებში მიიღოს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) პროფესიული სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების უზრუნველსაყოფად, რომელთა მიღწევაც შეადგენს მისი პასუხისმგებლობის სფეროს.

<u>**პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები,**</u> რომელიც გაწერილია კონცენტრაციაში „ფერმერობა მეთევზეობაში" და რომლის მიღწევაც შესაძლებელია შპს „ტოზის" და შპს „ქარავანის" სატბორე მეურნეობებში:

- ✓ თევზის გამოზრდა;
- ✓ თევზის კვება;
- ✓ თევზის კულტივირების ორგანიზება;
- ✓ თევზის ფიზიოლოგიური მდგომარეობის შეფასება;
- ✓ თევზის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კიდევ ერთი ხელშეკრულება დაწესებულებას გაფორმებული აქვს სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიასთან, კერძოდ, იგი თანამშრომლობს გურჯაანის ფილიალთან და უზრუნველყოფს 15 სტუდენტის პრაქტიკულ სწავლებას ლაბორატორიულ სეგმენტში, ხოლო შპს „მბმ" (ფოთი, 8 მარტის ქუჩა #125) მზადაა სტუდენტების სწავლება მოახდინოს თევზჭერისა და მასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

გამომდინარე იქიდან, რომ ფოთი ტერიტორიულად საკმაოდ შორსაა, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თავად უზრუნველყოფენ სტუდენტების ტრანსპორტირებას ფოთში, თუმცა ხელშეკრულებაში მსგავსი ჩანაწერი არ არის.

გარდა ამისა, მოდულისათვის „თევზისა და ზღვის პროდუქტების გადამუშავება", სასწავლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „მარშე"- სთან (ს/კ [redacted] თბილისი, თ. ერისთავის ქ # 5), რომლის თანახმადაც შპს „მარშე" კისრულობს ვალდებულებას, მისი კუთვნილი მატერიალური რესურსით ხელი შეუწყოს კოლეჯის სტუდენტებს „მეთევზეობის" პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში.
პარტნიორ დაწესებულებებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადით.
წინა ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და გაზარდა პარტნიორ კომპანიების რიცხვი, ასევე კომპანიები შეარჩია მისაღწევი შედეგების თემატურობიდან და მისაღწევი სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, რაც დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა კოლეჯის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებების პაკეტში ვერ მოიძებნა პრაქტიკის ობიექტზე არსებული აღჭურვილობის ჩამონათვალი და ინსტრუქტორების სია მათი კვალიფიკაციის და/ან სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი მასალებით. (შპს „მარშე", შპს „ბმბ", შპს „ტობი"), ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოგვიდგინა აღნიშნული ინფორმაცია როგორც პრაქტიკის ობიექტების აღჭურვილობის, ასევე პარტნიორი საწარმოებდან ინსტრუქტორების შესახებ.

ავტორიზაციის ვიზიტის მსვლელობისას ვერ მოხერხდა ყველა ინსტრუქტორთან შეხვედრა და გასაუბრება. შევხვდით მხოლოდ შპს „ტობის", სსიპ - სოფლის მეურნეობის ლაბორატორიის წარმომადგენელს. შპს „მბმ"-ს წარმომადგენელთან შედგა სატელეფონო საუბარი. კომპანიები მზად არიან და ადასტურებენ, რომ მიიღებენ სასწავლო პროცესში მონაწილეობას.
საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა „მეთევზეობის" ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს" მიერ „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" მეორე კომპაქტის, „ინოვაციური პროფესიული განათლების დანერგვა საქართველოს მეთევზეობის ინდუსტრიაში" პროექტის ფარგლებში. პროგრამის სწავლების ენაა ქართული და განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებით/მოდულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. წარმოდგენილი სასწავლო გეგმებით;
3. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით;
5. ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის მენეჯერთან, პრაქტიკის განმახორციელებელ ინსტრუქტორებთან გასაუბრებით;
6. ფოტომასალით.

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს შემუშავებული აქვს 2 სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) - საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მოდულური პროგრამების. საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი წარმოადგენს კოლეჯის მიერ მილევად ფორმატში მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს და მათ აღწერილობას: პროგრამის სახელწოდება, პროფესიული განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი, დასაქმების სფერო, სწავლების შედეგი, სტუდენტის სასწავლო საქმიანობა, ცოდნის შეფასება, სწავლების მეთოდები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
მოდულური პროგრამების კატალოგში წარმოდგენილია: დაწესებულების მიერ განსახორციელებელი მოდულური პროგრამის აღწერილობა, პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, საკანონმდებლო ბაზა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.
კატალოგი განთავსებულია ვებგვერდზე (განყოფილება სასწავლო პროცესი) და მასში ანონსის სახით არის წარმოდგენილი ინფორმაცია ოთხივე პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების წესის შესახებ (მოდულური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამები, რომელზეც კოლეჯი „აისი“ გადის ავტორიზაციას)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგებით;
2. დაწესებულების ვებგვერდით - http://www.collegeaisi.ge/

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს: „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ - „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში“ (კოდი: 040688); „იატაკის და ფილის დამუშავება“ - „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკის და ფილის დამუშავებაში“ (კოდი: 040689); „ქვის სამუშაოების წარმოება“ - „მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში“ (კოდი: 040687) და „მეთევზეობა (ფერმერობა მეთევზეობაში)“ - „მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში“ (კოდი: 010364)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამებითა და პროგრამის ადაპტირებული მოდულებით;
2. პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>შეფასება:</u>

- ✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ვებგვერდზე განთავსებულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი" დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის N 02-01-172 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც გაწერილია სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
2. დაწესებულების ვებგვერდით - http://www.collegeaisi.ge/

<u>შეფასება:</u>

- ✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესების შესაბამისად. აგრეთვე კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა მობილობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა"
✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი"
✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი"
✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი"

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
2. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებით.

შეფასება:
✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურას ანხორციელებს ხარისხის მართვის სამსახური. შეფასება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მაჩვენებლებს. დაწესებულებაში, სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებაზე, ანალიზსა და პრობლემების მოგვარებაზე.

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი" დირექტორის 2014 წლის 4 მარტის #11 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუქცია", რომელიც ადგენს პროგრამების შეფასების ნორმატიულ საფუძველს და აღწერს შეფასების სისტემის ელემენტებს.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. დირექტორის ბრძანებით;
2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ინსტრუქციით";
3. ზეპირი და ანკეტური გამოკითხვების შედეგებით;
4. შიდა მონიტორინგის ჯგუფის სამოქმედო გეგმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ჭიჭინაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: თ. ...

<u>შეფასება:</u>

- ✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## 2. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი" საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 17.03.2010 წლის #914 წერილის საფუძველზე სოფელ კაჭრეთში, სოფელ ქვემო ალვანს, სოფელ სამრეკლოში და ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომაში უსასყიდლო უზუფრუქტის საფუძველზე, უზუფრუქტის არსებობის ვადის შესაბამისად ფლობს: სოფელ კაჭრეთში-77144 კვ.მ. მიწის ფართობსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს - 7520,4 კვ.მეტრს; სოფელ სამრეკლოში - 13328 კვ.მ. მიწის ფართობსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს - 1594,5 კვ.მეტრს; სოფელ ქვემო ალვანში - 24244 კვ.მ. მიწის ფართობსა და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს - 1122 კვ.მეტრს; სოფელ შრომაში - 53141კვ.მ ფართს და მასზე განლაგებულ 4901.4 კვ.მ შენობა-ნაგებობას.

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

„თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისა" და „იატაკის და ფილის დამუშავების" მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილი არის სოფ. შრომაში განთავსებული საზოგადოებრივი კოლეჯის ფილიალი. ვიზუალური დათვალიერებით ორივე პროგრამისთვის გამოყოფილია შესაბამისი ფართები და შეძენილია აღჭურვილობა. სასწავლო გარემოს სამივე კომპინენტი (A,B,C) შესაბამისად არის მოწყობილი და აღჭურვილი, გამოყოფილია სასწავლო ფართები როგორც ზოგადი მოდულების განსახორციელებლად A გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტზე, ასევე მოწყობილია კომპიუტერული კლასი (B გარემო) - 15 პროფესიულ სტუდენტის სწავლებისთვის და აღჭურვილია C გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტისთვის, პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად. ასევე მოდულური პროგრამის „ქვის სამუშაოების წარმოების" განხორციელების მიზნით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სოფ. სამრეკლოში არსებულ ფილიალში მოწყობილი და აღჭურვილია სამივე ტიპის გარემო.

ხოლო დუალური პროგრამის „მეთევზეობის" პროგრამისთვის საჭირო A და B სასწავლო გარემო მდებარეობს ახმეტის რაიონში, სოფ. ქვედა ალვანში. პრაქტიკული კომპონენტები ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებსაც შესაბამისი სწავლის შდეგების მისაღწევად საჭირო აღჭურვილობა ადგილზე აქვთ.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

უნდა აღინიშნოს, რომ საერთო პროფესიული და კონცენტრაციის მოდულების განსახორციელებლად მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალი ძალიან დიდი და მრავალფეროვანია, თუმცა აღჭურვილობის შეძენის, მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზუალური დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა სრულყოფილადაა წარმოდგენილი. დადასტურდა, რომ მატერიალური რესურსების/აღჭურვილობის კუთხით სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" ყველა ფილიალი მზად არის პროგრამების განსახორციელებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 17.03.2010 წლის #914 წერილით;
2. შენობების აზომვითი ნახაზებით. შეფასება;
3. შესყიდვის დოკუმენტაციით;
4. ფოტომასალით

შეფასება

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა (აუცილებლობის შემთხვევაში სისტემაში ჩართულია გენერატორები, რომლებიც უზრუნველყოფენ შეფერხების გარეშე ელექტროენერგიის მიწოდებას), ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალიზებული გათბობის საშუალებები. სველი წერტილები გამიჯნულია, მოპირკეთებულია კაფელითა და მეტლახით და დაცულია ჰიგიენური ნორმები. კერძოდ, შენობები ელექტროფიცირებულია უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. უზრუნველყოფილია ასევე ელექტროენერგიის უწყვეტობა, დაწესებულებების მფლობელობაშია გენერატორი; დაწესებულებები გაზიფიცირებულია, შენობების მთელ სივრცეში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, მოწყობილია საქვაბე.
სასწავლო კაბინეტებში უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათება, შენობებში არის სველი წერტილები და სანიტარული კვანძები, სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

21

საშუალებებისთვის სპეციალური მოწყობილობებით. სასწავლო კორპუსების შენობების ყველა სართულზე არის ადაპტირებული სანიტარული კვანძი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოსადმი დადგენილი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. ელექტროენერგიის, გაზისა და მოხმარების ფასის გადახდის ქვითრებით;
2. გაზისა და საწვავის მოხმარების ფასის გადახდის ქვითრებით;
3. შენობების ვიზუალური დათვალიერებით;
4. ადგილეზე გადაღებული ფოტომასალით.

<u>შეფასება</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

<u>ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:</u>

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" ალვანის განყოფილებაში ბიბლიოთეკა არ არის, თუმცა წარმოდგენილია სამკითხველო დარბაზი, წიგნებისათვის განკუთვნილი კარადები, დარბაზში დგას კომპიუტერი. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების მოძიებას და მოტანას კაჭრეთის ცენტრალური ფილიალიდან უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი ან ფილიალის ხელმძღვანელი.
ვიზიტის მომენტისათვის დაწესებულებაში იყო სასწავლო პროგრამის „მეთევზეობა" მოდულებში მითითებული სახელმძღვანელოები, რომელიც დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „აისის" კაჭრეთის ცენტრალური ფილიალის ბიბლიოთეკარის მიერ.
კაჭრეთის ცენტრალურ ფილიალში არსებობს სახელმძღვანელოების რეგისტრაციის ჟურნალი ცალკე ალვანის ფილიალისათვის. სახელმძღვანელოები გატანილია ალვანის ფილიალის ხელმძღვანელის მიერ, რაც ხელმოწერით ფიქსირდება.
რაც შეეხება ლაგოდეხის ფილიალს, სამკითხველო დარბაზში ვიზიტის მომენტისთვის არ იყო წარმოდგენილი ყველა სახელმძღვანელო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კაჭრეთის ბიბლიოთეკაში ადგილზე ვნახეთ ლაგოდეხის ფილიალისთვის განკუთვნილი ყველა სახელმძღვანელო, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული, რეგისტრაციის ჟურნალში გატარებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იგივე მდგომარეობაა სოფ. შრომაშიც. ზოგადად კოლეჯს არ ჰყავს ბიბლიოთეკარები ფილიალებში და არც ბრძანებით არ აქვს გაწერილი უფლებამოვალეობები სხვა თანამშრომელზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. ინტერვიუთი ფილიალის ხელმძღვანელთან და ცენტრალური ფილიალის ბიბლიოთეკართან.

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცეში ინტენსიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები: დაწესებულების ბალანსზე ირიცხება 178 ერთეული ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი, 62 ერთეული პროექტორი, 5 ერთეული ინტერაქტიული პროექტორი სენსორული დაფით. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პედაგოგებისათვის და ადმინისტრაციისთვის.
კოლეჯი ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამა eflow-ს სისტემაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. კოლეჯის ვებგვერდით;
3. მატერიალურ ფასეულობათა ჩამონათვალის წიგნით;
4. ჩუქების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით.

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[ქალაქი, წელი]

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯში მოქმედებს სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისის" დირექტორის 2016 წლის 15 აგვისტოს N224 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,აისის" საქმისწარმოების წესი, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა, ბრძანებები დანომრილია. დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები რეგისტრაციაში ტარდება კოლეჯის საქმისმწარმოებლის მიერ და ენიჭება ინდექსები:

- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა, ამორიცხვა, მობილობასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული ბრძანებების ინდექსი - ,,კ";
- საერთო ხასიათის ბრძანებების ინდექსი - ,,02";
- მიღება-განთავისუფლების ბრძანებების - ინდექსი ,,03";
- პირადი შემადგენლობის ბრძანებების ინდექსი - ,,04";
- მივლინებების ბრძანებების ინდექსი -,,05",

კოლეჯი აღნიშნულის განსახორციელებლად იყენებს ელექტრონულ პროგრამა eflow-ს სისტემას.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალებით;
2. კონტიგენტის მოძრაობის ბრძანების წიგნით;
3. სახელობითი წიგნით;
4. eflow.emis.ge-სისტემით;
5. ელექტრონული აღრიცხვის ჟურნალით.

<u>შეფასება:</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯის ყველა ფილიალში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება, არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმები,
ბ)თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული ხანძარსაწინააღმდეგო დაფები შესაბამისი ინვენტარით;
გ) თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული ევაკუაციის გეგმა საევაკუაციო მარშრუტებით;
დ) ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტები და სასწავლო ოთახები უზრუნველყოფილია შესაბამისი პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტებითა და ინვენტარით;
ე) დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოსათვალთვალო საშუალებით;
ვ) შემოღებულია ადმინისტრაციის წევრთა და პროფესიულ სტუდენტთა მორიგეობის განრიგები.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. ვიზუალური დათვალიერებით:
2. საევაკუაციო გეგმებით;
3. ადგილზე გადაღებული ფოტომასალით;
4. დასაწესებულების შინაგანაწესით:
5. ფოტომასალით.

<u>შეფასება:</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი" ყველა ფილიალს აქვს შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო, მოწყობის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გათვალისწინებით. შენობის ცენტრალურ შესასვლელთან კონსტრუირებულია პანდუსი, სტანდარტებისა და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. შენობებში სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სანიტარული კვანძები, შენობის შიდა პერიმეტრზე განლაგებულია ლიფტებიც და პანდუსებიც საჭიროების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. ადგილზე გადაღებული ფოტომასალით.

<u>შეფასება:</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.), ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

დაწესებულების ვებგვერდები www.collegeaisi.ge და www.facebook.com/collegeaisi ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებული ინფორმაცია ამომწურავად ასახავს საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობას, საგანმანათლებლო პროცესს, სტუდენტურ ცხოვრებასა და ყველა სიახლეს. ინფორმაციის განახლება ხდება პერიოდულად.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. ვებგვერდებით - www.collegeaisi.ge; www.facebook.com/collegeaisi;
2. ვიზუალური დათვალიერებით

<u>შეფასება:</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც გეგმავს მატერიალური რესურსის სრულყოფას, სწრაფვას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუდმივი განვითარებისაკენ, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული კურსების ჩამოყალიბებას, რაც ითვალისწინებს კოლეჯის აკადემიური რესურსის გადამზადებასაც. კოლეჯს აქვს მჭიდრო კონტაქტები დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან, გეგმავს მის გაღრმავებას, რის საფუძველზეც ცდილობს უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა მაქსიმალური დასაქმება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმით;
2. კოლეჯის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით.

<u>შეფასება:</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

საგანმანათლებლო პროგრამებზე შემოწმდა ზოგადი, საერთო პროფესიული/დარგობრივი და სპეციალიზაციის მოდულების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. გადამოწმების პროცესში რაიმე შეუსაბამობა არ გამოვლენილა. პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება წასაკითხი მოდულების მიმართულებას.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
2. შრომითი ხელშეკრულებებით.

<u>შეფასება:</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ადგილი, ბეჭედი)

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობა პროგრამებზე დარღვეული არ არის, ვინაიდან იგეგმება თითოეულ პროგრამაზე ერთ ნაკადზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღება და დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი აქვს 30, ხოლო პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა სრულიად დამაკმაყოფილებელია.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
2. შრომითი ხელშეკრულებებით.

<u>შეფასება:</u>

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულებაში არსებობს პროფესიული მასწავლებლის თანამდებობის დაკავების წესი, რომელიც განსაზღვრულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" შინაგანაწესით. თანამდებობის დაკავება დასტურდება უფლებამოსილი პირის – დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებით შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის ბრძანებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):</u>

1. დირექტორის ბრძანებებით;
2. შრომითი ხელშეკრულებებით;
3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისის" შინაგანაწესით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეული

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | როფესიუ ლი ანათლები საფეხური | მისანიჭებელიკვალი ფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტები რაოდენობა მოდულურიპრო გრამის ქართულენ ვანისტუდენტებ ისათვის/საგნობ რივი პროგრამებისა თვის | რედიტების აოდენობა ოდულუ როგრამისარ ქართულენო ანისტუდენ ტებისათვის | სწავლებ ის ენა | პროგრამის განხორციე ლების მისამართი /მისამართ ები | ტუდენ ტა ქტობრ ი ოდენი ისამართ ებისმი ხედვით | ადგილებ ის შესაძლო ზღვრულ ი რაოდე ნექსპერ თა ჯგუფის შეფასები თ,მისამა რთების მიხედვი თ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქ ციების მონტაჟი | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში (040688) | 59 კრედიტი | 74 კრედიტი | ქართულ ი | ლაგოდეხი ს მუნიციპა ლიტეტი, სოფ. შრომა | 0 | 30 |
| 2 | „იატაკისა და ფილის სამუშაოებ ი“ | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცი ა იატაკისა და ფილის სამუშაოებში/ 040689 | 77კრედიტი | 92კრედი ტი | ქართულ ი | ლაგოდეხი ს მუნიციპა ლიტეტი, სოფ. შრომა | 0 | 30 |
| 3 | ქვის სამუშაოების წარმოება, | მესამე | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცი ა სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში / 040687 | 59კრედიტი | 74 კრედიტი | ქართულ ი | დედოფლი სწყაროს მუნიციპა ლიტეტი, სოფ. სამრეკლო | 0 | 30 |

29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | „მეთევზეობა (ფერმერობა მეთევზეობაში)“, | მეოთხე | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში/ 010364 | 100 კრედიტი. | 130კრედიტი | ქართული | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანი | 0 | 15 |

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: დღის წესრიგი, 2 გვ.

თარიღი: 24 აგვისტო, 2018წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: